N 01/4742
05/10/2020

4742-01-2-202010052034

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეს

ბატონ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 20 აპრილის №15.16.355 განკარგულების 1-ლი პუნქტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ (შემდგომ ტექსტში კომპანია) დაევალა 2012 წლის 5 ივნისს ქალაქ თბილისის მერიასა და “Doppelmayr Seilbahnen GmbH”-ს (შემდომ ტექსტში „Doppelmayr”) შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

აღნიშნული ხელშეკრულებით საბაგირო გზის მარშრუტი განსაზღვრული იყო ქალაქ თბილისში, ვარდების მოედნიდან მთაწმინდის პარკის მიმართულებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2016 წლის 19 თებერვლის N7 ოქმის საფუძველზე, მიღებული იქნა უარყოფითი გადაწყვეტილება ვარდების რევოლუციის მოედანზე საბაგირო გზის ქვედა სადგურის მოწყობის პროექტთან დაკავშრებით და გაიცა რეკომენდაცია , საბაგირო გზის ქვედა სადგურის სსიპ „მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საბაგირო გზის ძველ სადგურთან განთავსების საკითხის განხილვასთან დაკავშირებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდმა“, რომელიც ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 8 მაისის N16.04.538 დადგენილებით ასრულებდა ქალაქ თბილისის მერიის ვალდებულებების „Doppelmayr”-თან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, “მთაწმინდის პარკთან დამაკავშირებელი საბაგირო გზის მშენებლობასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 16 მარტის N10.07.212 განკარგულების საფუძველზე, მიმართა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“, საბაგირო გზის ძველი სადგურის შენობის ამჟამინდელი კონსტრუქციული მდგომარეობის და მიმდებარე ტერიტორიის გეოლოგიის შესწავლის თაობაზე, საიდანაც მიღებული იქნა დადებითი რეკომენდაცია საბაგირო გზის ქვედა სადგურის გამოყენების შესახებ, ასევე დადებითი რეკომენდაცია გაიცა აღნიშნულთან დაკავშირებით “Doppelmayr” -ის 2016 წლის 24 მაისის N378 წერილით, ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/ნ 202886788) გენერალური დირექტორის 2016 წლის 6 ივნისის N01/2944 (მერიაში რეგისტრაციის N197049/08) წერილის შესაბამისად, დგინდება რომ შესაძლებელია საბაგირო გზის ქვედა სადგურის განთავსება მითითებულ ტერიტორიაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 8 ივნისის №22.03.475 განკარგულების 1-ლი პუნქტით, შეიცვალა საბაგირო გზის მარშრუტი, კერძოდ, ქვედა საგურის განთავსების ადგილად ვარდების მოედნის მაგივრად განისაზღვრა - სსიპ "საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის" მიმდებარე ტერიტორიაზე, საბაგირო გზის ძველი სადგური.

გამომდინარე აქედან, მომზადდა თვისობრივად ახალი საპროექტო სამშაოები „Doppelmayr"- ს მიერ და ასევე საჭირო გახდა საბაგირო გზის აღჭურვილობების მოდიფიკაცია და სხვადასხვა სახის თანმდები მომსახურების შესყიდვა.

ამდენად, განსახორციელებელი სამუშაოების სპეციფიკისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით და ახალი საბაგირო გზის სამშენებლო სამუშაოების შეუფერხებელად განხორციელების მიზნით, შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, თანხმობას, ქალაქ თბილისში სსიპ "საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის" მიმდებარე ტერიტორიაზე, საბაგირო გზის ძველი სადგურიდან მთაწმინდის პარკთან დამაკავშირებელი საბაგირო გზის მშენებლობისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების შესყიდვა განვახორციელოთ გამარტივებული შესყიდვის გზით.

პატივისცემით,

გიორგი შარკოვი

გენერალური დირექტორი